

მარინა მესხი*

ქალის უფლებათა დაცვა შეიარაღებული კონფლიქტებისა და საომარი ვითარების დროს, საერთაშორისო ინსტრუმენტები და პრაქტიკა

უბსტრუქტი

ქალის უფლებათა დაცვა შეიარაღებული კონფლიქტებისა და საომარი ვითარების დროს, ისევე როგორც კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩება. შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობას თან ახლავს ქალთა და გოგონათა უფლებების მასობრივი დარღვევები, რაც კიდევ ერთხელ და განსაკუთრებით მწვავედ, დადასტურდა უკრაინაში მიმდინარე საომარი ვითარების პირობებში.

სტატიის მიზანია, განიხილოს საერთაშორისო სამართლის უნივერსალური ინსტრუმენტებით ქალის უფლებათა დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში, რაც გამოწვეულია ქალთა და მამაკაცთა მიმართ განსხვავებული რისკების არსებობით. ასევე, სისხლის სამართლის ტრიბუნალების და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, სტატიაში წარმოდგენილია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და სამართლიანობის აღგენის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ქალის უფლებათა დარღვევებზე უშუალოდ შეიარაღებული კონფლიქტების დროს, სტატიის დასკვნით ნაწილში, ასევე იქნება მსჯელობა პოსტკონფლიქტურ პერიოდში გადასადგმელი ნაბიჯების შესახებაც.

* მოწვეული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამართლის დოქტორი, საერთაშორისო და ტრანსნაციონალური სამართლის მაგისტრი

შესავალი

შეიარაღებული კონფლიქტების, საომარი ვითარების და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ქალის უფლებათა დაცვა ხორციელდება საერთაშორისო სამართლის როგორც უნივერსალური, ასევე რეგიონული და ეროვნული ინსტრუმენტებით.

ორი მსოფლიო ომის, კაცობრიობის და მშვიდობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების პერიოდში, ქალის უფლებათა დარღვევების გამოცდილებამ, განსაკუთრებით კი – სქესობრივი დანაშაულების მასობრივმა ხასიათმა, არაერთხელ დააყენა დღის წესრიგში ქალთა და გოგონათა უფლებათა დაცვის სტანდარტების და ძლიერი მექანიზმების შექმნის აუცილებლობა.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის აღიარებული პრინციპების მიხედვით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოითხოვს განსხვავებულ მოპყრობას შემდეგი კატეგორიის პირების მიმართ: მეზობლები და მშვიდობიანი მოსახლეობა, განსაკუთრებული დაცვის გარანტიებით ქალებისა და ბავშვების მიმართ. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, იკრძალება შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დისკრიმინაცია სქესის, ენის, პოლიტიკური ან სხვა აზრის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, რელიგიის ან მრწამსის, დაბადების ან სხვა სტატუსის საფუძველზე.

საომარი და კონფლიქტური სიტუაციების პერიოდში, ქალის უფლებათა დაცვის მექანიზმების ჩრჩილში, არანაკლებ მნიშვნელოვანი დარგია ლტოლვილთა სამართალი, რომელიც ადგენს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების, დაცვის, ქვეყნის მფარველობით სარგებლობის ზომებს და რეგულაციებს.¹

რაც შეეხება ქალების მდგომარეობას საომარი ვითარებისა და შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში, უზრუნველყოფილ უნდა იქნას როგორც საბრძოლო ოპერაციებში მყოფი (მებრძოლი) ქალების, მათ შორის დაჭრილებისა და ავადმყოფების დაცულობა², ისე სამოქალაქო მოსახლეობაში მყოფი ქალების განსაკუთრებული და განსხვავებული საჭიროებები.

1 კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, მიღებულია 1951 წლის 28 ივლისს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 14 დეკემბრის 429 (V) რეზოლუციის საფუძველზე, საქართველო შეუერთდა 1999 წლის 28 მაისის N 1996 – II ს დადგენილებით.

2 გამომდინარე იქედან რომ შეიარაღებული კონფლიქტების მხარეებზე მხოლოდ მამაკაცები არ განიხილებიან და ქალებიც ჩართულები არიან საბრძოლო ოპერაციებში, ისინი დაცულები უნდა იყვნენ მათ მიმართ ჩადენილი ისეთი დანაშაულებისგან, როგორცაა სექსუალური მომსახურების იძულება (მაგ: კოლუმბიაში პარტიზან ქალებს სამხედრო მოვალეობის გარდა სექსუალურ მომსახურებასაც აიძულებდნენ).

1. ქალის უფლებათა დასვა შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში საქართველოს სამართლის ინსტრუმენტებით

1.1. Lieber codes

Lieber Codes³ ერთ-ერთი პირველი დოკუმენტია, რომელიც არმიის ქცევის რეგულაციებს ადგენდა საომარი ვითარების დროს.⁴ დოკუმენტი მოიცავდა როგორც ძირითად პრინციპებს, სამხედრო აუცილებლობით გამოწვეული შეიარაღებული ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, ისე დეტალურ ნორმებს, მებრძოლთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჰუმანური დამოკიდებულების ვალდებულების, სამხედრო ტყვეების მიმართ შურისძიების და წამების, სხვა მეთოდების და საშუალებების აკრძალვის ჩათვლით.

Lieber Codes მიხედვით, გაუპატიურება განიხილებოდა როგორც მძიმე დანაშაული და მისი გამოყენება როგორც დასჯის საშუალება, მკაცრად უნდა ყოფილიყო აკრძალული. დოკუმენტი 1907 წლის კოპენჰაგენის სამშვიდობო კონფერენციაზე აღიარებულ იქნა საერთაშორისო სამართლის ნაწილად. უფრო ადრე კი, 1899 წელს, აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად დაედო ჰააგის კონვენციებს⁵.

მიუხედავად იმისა, რომ გაუპატიურების დეფინიციამ ცვლილებები განიცადა, Lieber Codes აღნიშნული რეგულაცია ითვლება საომარი ვითარების პირობებში ქალის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დებულებად.

1.2. ჰააგის კონვენციები

ჰააგის კონვენციები⁶ დამსახურებულად ითვლება პირველმრავალმხრივ გულშეკრულებებად, რომელიც არეგულირებს ძალისა და საომარი მოქმედებების გამოყენებას და ზღუდავს ომის მეთოდების არჩევანს. მოცემული კონვენციების დებულებები ეხება იარაღის გამოყენებას სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საომარი მოქმედებების დროს და სხვ.⁷

3 Lieber Codes – მიღებულია 1863 წელს. პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნის მიერ ხელმოწერილი **გენერალური ბრძანება 100**, რომელიც ადგენდა ამერიკის სამოქალაქო ომის დროს არმიის ქცევის რეგულაციებს. (იწოდება როგორც Lieber Codes – ავტორის, ფრანც ლიბერის პატივსაცემად). დოკუმენტი სტატიის მიხედვით იქნება როგორც Lieber Codes.

4 Lieber Codes მოიცავდა 157 ნორმას.

5 1899 წელს, ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე, 27 სახელმწიფოს მიერ მიღებული იქნა 3 კონვენცია, კონვენციები ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ.

6 1907 წელს მიღებული იქნა 13 კონვენცია, პირველი, მეოთხე და მეათე კონვენციები ავსებდა 1899 წლის ჰააგის კონვენციებს ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ.

7 ჰააგის 1899, 1907 და 1954 წლების კონვენციები; 1993 წლის კონვენცია ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, შენახვისა და გამოყენების აკრძალვისა და მათი განადგურების შესახებ, და 1980 წლის 10 ოქტომბრის ოქმი ნალმების, ხაფანგების და სხვა მოწყობილობების გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ.

ქალის უფლებათა დაცვის კონტექსტში, მნიშვნელოვანია შემდეგი დებულება: „ოჯახის პატივი და უფლებები, ადამიანების სიცოცხლე და კერძო საკუთრება, ასევე რელიგიური მრწამსი და პრაქტიკა უნდა იყოს დაცული“⁸ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დებულება თანაბრად ვრცელდება ქალსა და მამაკაცზე, საომარ ვითარებაში, საოჯახო ურთიერთობები არსებითად განსხვავდება სამშვიდობო პერიოდის საოჯახო ურთიერთობებისაგან. კერძოდ, ოჯახში დარჩენილი ქალებისა და ბავშვების მიმართ პატივისა და ღირსების შემლახავი ქმედებები მასიურ ხასიათს იძენს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დებულება, ერთი შეხედვით, არ მოიცავს გაუპატიურების დანაშაულს, ამ დებულებას დიდი ხანია ეყრდნობოდნენ დასახელებული ქმედების ასაკრძალად.

1.3. ჟენევის კონვენციები

შეიარაღებულ კონფლიქტებში ქალის უფლებათა დაცვის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ ჟენევის კონვენციები⁹ და მისი დამატებითი ოქმები¹⁰ უნდა ჩაითვალოს. სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა რამდენიმე დებულების ხაზგასმა.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს ჟენევის ოთხივე კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლი, რომლის მიხედვით, პირები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ საომარ მოქმედებებში, უნდა სარგებლობდნენ ჰუმანური მოპყრობით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე¹¹. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია მუხლის იმპერატიული ჩანაწერი: „**ყველგან და ყოველთვის**“¹² აიკრძალოს ამ პირთა მიმართ ისეთი ქმედებების განხორციელება როგორცაა, მკვლელობა, დასახიჩრება, სასტიკი მოპყრობა¹³; მძევლად აყვანა¹³, პირადი ღირსების შეურაცხყოფა, განსაკუთრებით დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა¹⁴ სამართალში მიცემა და სასჯელის აღსრულება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.¹⁵

გარდა მე-3 მუხლის ზოგადი ჩანაწერისა, ჟენევის კონვენციები და პირველი და მეორე დამატებითი ოქმები, არამხოლოდ კრძალავს სქესის ან სხვა ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციას,

8 მეოთხე კონვენცია, მუხლი 46.

9 მიღებულია 1949 წელს და წარმოადგენს მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებას ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ.
ჟენევის კონვენციები და დამატებითი ოქმები ხელმისაწვდომია აქ: <https://ihl-databases.icrc.org/applic/ihl/ihl.nsf/vwTreaties1949.xsp>

10 ორი დამატებითი ოქმი მიღებული იქნა 1977 წელს და ადგენს საერთაშორისო და შიდა კონფლიქტების პირობებში სამხედრო მოქმედებების შედეგებისგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის პრინციპებს (მესამე დამატებითი ოქმი ეხება დამატებითი განმარტებელი ემბლემის მიღებას).

11 მუხლი 3 (1).

12 იქვე. (ა) ქვეპუნქტი.

13 იქვე. (ბ).

14 იქვე. (გ).

15 იქვე. (დ).

არამედ პირდაპირ უთითებს ქალს, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტს¹⁶, ქალის მიმართ მამაკაცის თანაბარი მოპყრობის აუცილებლობის გარდა, ხაზგასმით აღნიშნავს სქესის საჭიროების შესაბამისად მოპყრობის აუცილებლობას, რაც ამავდროულად ქალის მიმართ განსხვავებული საჭიროების აღიარებადაც უნდა ჩაითვალოს.

გარდა ამისა, უნევის კონვენციებით გათვალისწინებულია ქალთა დაცვა ომის დროს „მათ ღირსებაზე ნებისმიერი თავდასხმისაგან, განსაკუთრებით გაუპატიურების, იძულებითი პროსტიტუციის ან სხვა უხამსი ქმედებებისგან“¹⁷ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის ჩამონათვალში, ხაზგასმითაა აღნიშნული ქალთა დაცვის აუცილებლობა ღირსების შეურაცხყოფის, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისგან, იძულებითი პროსტიტუციის და უხამსი თავდასხმის ნებისმიერი ფორმისგან¹⁸; ფენმძიმე და ჩვილბავშვიან ქალთა დაკავებისგან¹⁹ და სიკვდილით დასჯისგან დაცვის პრიორიტეტულობა.²⁰ რაც შეეხება არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს, აკრძალულია პირადი ღირსების შეურაცხყოფა, დამამცირებელი მოპყრობა, გაუპატიურება, იძულებითი პროსტიტუცია და უხამსი თავდასხმის სხვა ნებისმიერი ფორმა.²¹

1.4. ქალის ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია და მისი ზოგადი რეკომენდაციები

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (შემდგომში – CEDAW),²² ქალის მიმართ დისკრიმინაციას განმარტავს როგორც „მნიშვნელოვან განსხვავებას, გამონაკლისსა და შეზღუდვას სქესობრივი ნიშნით“²³ ხოლო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ქალთა ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებას.²⁴ CEDAW ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ აღნიშნული კონვენცია ითვალისწინებს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვას არამხოლოდ კონფლიქტურ, ასევე პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში. ამის ნათელი მაგალითია CEDAW კომიტეტის ზოგადი

16 “Women shall be treated with all consideration due to their sex”. პირველი კონვენცია, მუხლი 12.

17 “Women shall be especially protected against any attack on their honour, in particular against rape, enforced prostitution, or any form of indecent assault”. მეოთხე კონვენცია, მუხლი 27.

18 “Women shall be the object of special respect and shall be protected in particular against rape, forced prostitution and any other form of indecent assault”. პირველი დამატებითი ოქმი, მუხლი 76, პარა 1.

19 “Pregnant women and mothers having dependent infants who are arrested, detained or interned for reasons related to the armed conflict, shall have their cases considered with the utmost priority”. იქვე, პარა 2.

20 “To the maximum extent feasible, the Parties to the conflict shall endeavor to avoid the pronouncement of the death penalty on pregnant women or mothers having dependent infants, for an offence related to the armed conflict. The death penalty for such offences shall not be executed on such women”. იქვე, პარა 3.

21 მეორე დამატებითი ოქმი, მუხლი 4, პარა 2(e).

22 მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წლის 18 დეკემბერს, ძალაშია 1981 წლის 3 სექტემბრიდან, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 22 სექტემბრის N 561 დადგენილებით.

23 იქვე, მუხლი 1.

24 იქვე, მუხლი 2 (b).

რეკომენდაცია N30²⁵, რომლითაც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს ვალდებულებები ქალის უფლებათა დასაცავად კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში. რეკომენდაცია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ქალები არ წარმოადგენენ ერთგვაროვან ჯგუფს და მათი გამოცდილება კონფლიქტის და სპეციალური საჭიროებების თვალსაზრისით, პოსტ-კონფლიქტურ კონტექსტში, მრავალფეროვანია.“²⁶

ყენევის კონვენციებისაგან განსხვავებით, რომლებშიც აქცენტი გადატანილია ქალის დაცვაზე და არა გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის აკრძალვაზე, CEDAW კომიტეტის ზემოაღნიშნული რეკომენდაცია, ხაზს უსვამს სწორედ გენდერული უთანასწორობის საფუძველზე ქალის მიმართ მომეტებული რისკის არსებობას.²⁷ სწორედ CEDAW კონვენცია და მისი 30-ე ზოგადი რეკომენდაცია აკონკრეტებს კონფლიქტების პერიოდში ჩადენილი გენდერული ძალადობით გამოწვეულ ისეთ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შედეგებს ქალებისათვის, როგორებიცაა: ტრამვები, უნარშეზღუდულობა, არასასურველი ორსულობის რისკი მათზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის გამო.²⁸ აღნიშნული რეკომენდაციის კიდევ ერთი მეტად საყურადღებო ჩანაწერია აივ-ინფექციის მიზანმიმართული გავრცელება გაუპატიურების მეშვეობით, როგორც ომის იარაღი.²⁹

ამავე რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფოთა ვალდებულებაა გენდერული ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის თავიდან აცილება, გამოძიება და დასჯა, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განხორციელება ამგვარი დანაშაულების მიმართ³⁰; გენდერულად სენსიტიური საგამოძიებო პროცედურების და სწავლების უზრუნველყოფა³¹; გენდერული ძალადობის, კერძოდ კი სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მკურნალობის და ფსიქოლოგიური დახმარების უზრუნველყოფა³² და სხვ. აღნიშნული რეკომენდაცია ასევე მოიცავს მთელ რიგ ჩამონათვალს CEDAW კონვენციით დაცული მუხლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში.

1.5. რეზოლუცია 1325³³

ქალებსა და გოგონებზე შეიარაღებული კონფლიქტების ზეგავლენის შედეგების აცილებისათვის მეტად მნიშვნელოვან რეკომენდაციებს შეიცავს ასევე გაეროს რეზოლუცია

25 ზოგადი რეკომენდაცია N 30 – ქალების შესახებ კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში. მიღებულია 2013 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 56-ე სხდომაზე.

26 იქვე, 5.

27 იქვე, 34.

28 იქვე, 37.

29 იქვე. უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული ჩანაწერი არ უნდა იქნას განხილული მხოლოდ ქალის მიმართ ჩადენილ ძალადობად.

30 იქვე, 38 (b).

31 იქვე, (c).

32 იქვე, (e).

33 1325 რეზოლუციის დებულებათა განხორციელების მიზნით საქართველოში პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა შეიქმნა 2011 წელს, მეორე- 2016 წელს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში სახალხო დამცველის მიერ გამოიყო

1325³⁴, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ ქალები და ბავშვები, კონფლიქტების პერიოდში ყველაზე დიდ რისკ ჯგუფს წარმოადგენს და ხაზს უსვამს ქალებისა და გოგონების განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებას სახელმწიფოთა მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს შორის.

აღნიშნული რეზოლუცია იმითაცაა საინტერესო, რომ სახელმწიფოებს მოუწოდებს გააფართოვონ ქალის მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში და გაზარდონ გენდერული პერსპექტივა და ჩართულობა საველე ოპერაციებში.³⁵ ასევე, სამშვიდობო მოლაპარაკებების განხორციელების პროცესში აუცილებლად იქნას გამოყენებული „გენდერულ ასპექტებზე დაფუძნებული მიდგომა“; რაც მოიცავს ქალის განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებას რეპატრიაციის, განსახლების, რეაბილიტაციის, რეინტეგრაციის პროცესებსა და სხვა საქმიანობებში.³⁶

ასევე, რეზოლუცია მოუწოდებს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს, შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში და პირობებში გენდერული ძალადობისაგან, განსაკუთრებით გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებისაგან ქალთა დაცვის უზრუნველყოფას.³⁷ რეზოლუცია კიდევ უფრო შორს მიდის გენოციდის, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების, ომის დანაშაულების, ქალთა მიმართ ჩადენილი სექსუალური თუ სხვა ტიპის დანაშაულების შეფასებისას და იმპერატიულად ითხოვს ამგვარი დანაშაულების ამნისტირების დაუშვებლობას.³⁸

1.6. სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ

შეიძლება ითქვას, რომ 1990-იან წლებამდე შემუშავებული საერთაშორისო ინსტრუმენტები უფრო მეტად ფოკუსირებული იყო ლტოლვილთა დაცვაზე, თუმცა, ზემოაღნიშნული პერიოდისთვის დამახასიათებელმა მომეტებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების ზრდამ და სხვა ქმედებებმა, მნიშვნელოვნად გაზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, რასაც 1998 წელს, მოჰყვა იძულებით გადაადგილებულ პირთა სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება (შემდგომში – სახელმძღვანელო პრინციპები).³⁹ „იძულებით გადაადგილებული პირი“ და „ლტოლვილი“ განსხვავებული

შემდეგი ასპექტები:

- ქალთა მონაწილეობა მოლაპარაკების ფორმატში;
- ქალთა მონაწილეობა ნდობის აღდგენის პროცესში;
- ქალთა მონაწილეობა „სახალხო დიპლომატიის“ ინიციატივებში.

34 მიღებულია 2000 წლის 31 ოქტომბერს, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 4312-ე სხდომაზე.

35 იქვე, 5.

36 იქვე, 8.

37 იქვე, 10.

38 იქვე, 11.

39 სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ. Guiding Principles on Internal Displacement, U.N. Doc. E/CN.4/1998/53/Add.2 (1998), noted in Comm. Hum. Rts. res. 1998/50.

სამართლებრივი მდგომარეობაა, შესაბამისად, დევნილი და ლტოლვილი ქალები, სპეციფიკური საჭიროებების მხრივ, განსხვავებული გამოწვევების წინაშე დგანან.

სახელმძღვანელო პრინციპები ცალკე პუნქტად მოიხსენიებს ორსულ ქალებს, ჩვილბავშვიან დედებსა და მარტოხელა დედებს, როგორც მოწყვლად ჯგუფს და ხაზს უსვამს განსაკუთრებული საჭიროებით გამოწვეულ მოპყრობის აუცილებლობას.⁴⁰ ასევე, დოკუმენტი ხაზგასმით აღნიშნავს იძულებით გადაადგილებული ქალების დაცვას ისეთი დანაშაულებისგან, როგორცაა „ქალისა და ბავშვის გატაცება გამომძიების მიზნით, რომელიც განხორციელდა სიკვდილის მუქარით ან გახდა სიკვდილის მიზეზი“⁴¹ რაც შეეხება პატივისა და ღირსების დაცვას, სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ქალები დაცული უნდა იყვნენ გაუპატიურებისგან, წამებისგან, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან, პატივის და ღირსების შემლახავი ქმედებებისგან, სქესობრივი ძალადობისგან, პროსტიტუციის იძულების და ნებისმიერი სხვა ფორმის შეურაცხყოფისგან.⁴²

როგორც აღინიშნა, სახელმძღვანელო პრინციპები მიმართულია იძულებით გადაადგილებულ პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელო პრინციპებით აღიარებულია იძულებით გადაადგილებული ყველა პირისთვის შესაბამისი ადექვატური ცხოვრების პირობების შექმნის აუცილებლობა და ამ პროცესში ქალთა სრული მონაწილეობის უზრუნველყოფა⁴³, ისევე როგორც, ქალთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სამედიცინო სერვისების დამომსახურების ხელმისაწვდომობა,⁴⁴ საჭირო დოკუმენტების მიღების უფლება⁴⁵ და განათლების ხელმისაწვდომობა.⁴⁶

საერთო ჯამში, სახელმძღვანელო პრინციპები მიმართულია დაიცვას იძულებით გადაადგილებული პირები, მათ შორის ქალები და დაეხმაროს მათ სოციალური რეკონსტრუქციის პროცესში, რაც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ რთული პროცესია.

2. საქართველოს სისხლის სამართლის დანაშაულები და პრაქტიკა

სამართალდარღვევის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას წარმოადგენს, რაც სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების მიერ,

40 იქვე, მუხლი 4.2.

41 იქვე, მუხლი 10.1 (d).

42 იქვე, მუხლი 10.2 (a).

43 იქვე, მუხლი 18.3.

44 იქვე, მუხლი 19.2.

45 იქვე, მუხლი 20.2.

46 იქვე, მუხლი 23.4.

სამართალდამრღვევ პირთა მიმართ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმებითა და მექანიზმებით ხორციელდება. თუმცა, არსებობს ისეთი მასშტაბის სისხლის სამართლის დანაშაულები, რაც საერთაშორისო ინსტრუმენტებით დადგენილი რეგულაციებით, *ad hoc* ტრიბუნალების დაფუძნების შედეგად მართლმსაჯულების განხორციელების გზით გახდა შესაძლებელი. მოგვიანებით, დღის წესრიგში დადგა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნის საკითხიც.⁴⁷

საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულთა უმეტესობა, რომელიც საყოველთაო იურისდიქციის ქვეშ ექცევა, არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ნაწილი. მათ შორის ყველაზე მძიმე დანაშაულებად აღიარებულია:

- **გენოციდი:** როგორც განსაზღვრულია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ 1948 წლის კონვენციაში⁴⁸;
- **დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ:** სამართლებრივი დეფინიცია მომდინარეობს მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი სისასტიკიდან და განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა დაცვის რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმებაში;
- **აგრესია:** ნიურნბერგისა და ტოკიოს სასამართლო პროცესებზე დაფუძნებული, ახლა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი;
- **ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების დარღვევა:** ძირითადად განსაზღვრულია ჰააგის და ჟენევის კონვენციებსა და დამატებით ოქმებში;
- **სხვა დანაშაულები.**

ისტორიულად, ქალის მიმართ ძალადობა, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობა, საომარი და კონფლიქტური მდგომარეობის დროს გამოიყენებოდა როგორც ქალზე დომინირების საშუალება, რაც აღიარებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიერ. პრაქტიკულად კი, სექსუალური ძალადობისაგან ქალთა დაცვა ვერ იქნა უზრუნველყოფილი ჰააგის კონვენციებით, ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალიც⁴⁹ პირდაპირ არ სჯიდა სექსუალურ ძალადობას და არც ტოკიოს ტრიბუნალის⁵⁰ მიერ იქნა აღიარებული იაპონური არმიის მიერ „კომფორტის ქალების“⁵¹ მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობისა და დამონების ფაქტები.

47 საერთაშორისო სისხლის სამართლის დარღვის და დროებითი ტრიბუნალების და სასამართლოს შექმნა ძირითადად XX საუკუნეს უკავშირდება.

48 მიღებულია 1948 წლის 9 დეკემბერს და გენოციდს განსაზღვრავს როგორც:

- ჯგუფის წევრთა მკვლელობას;
- ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენებას;
- ჯგუფისათვის განზრახ ისეთი პირობების შექმნას, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას;
- ისეთი ზომების გატარებას, რომელთა მიზანია ჯგუფის შიგნით შობადობის აღკვეთა;
- ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების ძალადობით გადაცემას.

49 შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის მომზადებასა და წარმოებაში ბრალდებულ პირთა გასამართლების მიზნით.

50 შეიქმნა აღმოსავლეთის ომის დამნაშავეთა გასამართლების მიზნით.

51 მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელი მილიტარისტებისათვის შექმნილი ე.წ. „კომფორტის ადგილები“; სადაც ხდებოდა მათ მიერ ქალთა სექსუალური ექსპლუატაცია. მოგვიანებით, ამ ქალებს „კომფორტის ქალები“ (Comfort woman) უწოდეს.

1993 წლის ვენის კონფერენციაზე, ქალთა მიმართ ძალადობა აღიარებულ იქნა როგორც ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევა, რასაც მოჰყვა გაეროს მიერ დეკლარაციის მიღება ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ⁵², რომელმაც დეტალურად ჩამოაყალიბა ძალადობა, როგორც „ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების მიზნით ჩადენილი ნებისმიერი ქმედება“⁵³

გენდერული სამართლიანობის რაკურსში, ქალის უფლებათა დამცველები ხელს უწყობდნენ სექსუალური ძალადობის განსაზღვრას და ასახვას საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის ნორმებში. სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმების შექმნა, ხშირად, დაკავშირებულია იმ შეზღუდვების დასტერეოტიპების დაძლევათან, რასაც საერთაშორისო საზოგადოება სექსუალური დანაშაულების კონტექსტში აწყდება, მართლმსაჯულების სტანდარტების დადგენისა და განსაზღვრის პროცესში.

2.1. იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების გამოცდილება

ჰუმანიტარულ სამართალში გაუპატიურება, როგორც შეიარაღებულ კონფლიქტებში გამოყენებული პრაქტიკა, არ განიხილებოდა ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევად ან ომის დანაშაულად ჟენევის კონვენციების და საერთაშორისო ტრიბუნალების გამოცდილების მიხედვით,⁵⁴ სანამ ყოფილი იუგოსლავიის *ad hoc* ტრიბუნალმა (შემდგომში – ICTY), რომელიც შეიქმნა 1993 წელს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით⁵⁵, გაუპატიურება არ ჩათვალა კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულად, ისევე როგორც რუანდის *ad hoc* ტრიბუნალმა (შემდგომში – ICTR),⁵⁶ მოგვიანებით, 1995 წელს.

გაუპატიურების მილიტარიზებული ბუნება განხილვის საგანი ჯერ კიდევ 1980-იან წლებში გახდა, როცა არგენტინაში, ჩილეში, ფილიპინებში, გვატემალაში, ერაყში, ისრაელში, ინდოეთში, ჰაიტიზე, ჩინეთში, ბუტანში, თურქეთსა და არაერთ ქვეყანაში, გაუპატიურება და გაუპატიურების მუქარა ხელისუფლების მიერ აქტიურად გამოიყენებოდა⁵⁷ როგორც „ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალება“⁵⁸

52 მიღებულია 1993 წლის 20 დეკემბერს. ასევე, ლათუნურ ამერიკაში მიღებული იქნა 1994 წლის კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, აღმოფხვრისა და დასჯის შესახებ.

53 იქვე, მუხლი 1.

54 შემდეგი ტრიბუნალების გამოცდილება:

- ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალი (შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის მომზადებასა და წარმოებაში ბრალდებულ პირთა გასამართლების მიზნით);

- ტოკიოს ტრიბუნალი (შეიქმნა აღმოსავლეთის ომის დამნაშავეთა გასამართლების მიზნით);

- ჰიბრიდული ტრიბუნალები (კამბოჯის, ლიბანის, სიერა ლიონეს სპეციალური სასამართლოები, აღმოსავლეთ ტიმორის და კოსოვოს სასამართლოები, ერაყის და ბოსნიის ტრიბუნალები)

ცალკე არ გამოყოფს ქალის მიმართ გენდერის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებს.

55 UN Security Council Resolution 808, მიღებულია 1993 წლის 22 თებერვალს.

56 უშიშროების საბჭოს N 995 რეზოლუცია.

57 ქალები ომის დროს და ომის შემდეგ, ჰაინრიხ ბოლის ფონდის გამოცემა 2020 წ.

58 იქვე, გვ.53.

იუგოსლავიისა და რუანდის კონფლიქტები ქალის მიმართ ჩადენილი დანაშაულების, მათ შორის სექსუალური დანაშაულების არნახული მასშტაბებითა და სისასტიკით გამოირჩეოდა. მებრძოლთა მიერ ქალის გაუპატიურება, როგორც ომის სტრატეგია, განსაკუთრებით დამახასიათებელია კოსოვოს კონფლიქტისთვის⁵⁹.

ყველა საქმის განხილვა წინამდებარე სტატიის ფორმატში შეუძლებელი იქნება. აქედან გამომდინარე, ტრიბუნალების სამოძველო გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ჩადენილი სექსუალური დანაშაულების თაობაზე, შერჩეულია თემატურად: გაუპატიურება როგორც წამების, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დაშაულისა და გენოციდის ფორმა.

ა) გაუპატიურება როგორც წამება

ICTY და ICTR მიერ შექმნილი პრაქტიკა ქალთა მიმართ ჩადენილ გაუპატიურებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია არამხოლოდ მის სექსუალურ ხასიათთან მიმართებით, არამედ განხილული საქმეებში გაუპატიურების, როგორც წამების და არაადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად აღიარებით.

იუგოსლავიის კონფლიქტის ორივე პერიოდი,⁶⁰ ცნობილია ქალის მიმართ ჩადენილი დანაშაულების მასიური ხასიათით. *Prosecutor v. Zejnir DELALI, Zdavko Muci, Hazim Delic and Esab Lando საქმეში*,⁶¹ ICTY-ის მიერ გაუპატიურების, როგორც წამების კონტექსტში მოხსენიებამ და სისასტიკით განთქმულ „ჩელებიჩის ცინეში“ თანამშრომელთა მიერ გამოყენებული სექსუალური ძალადობის წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასთან გათანაბრებით, უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი შექმნა. დელიჩის საქმე იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ სასამართლო პალატამ მიუთითა გაუპატიურების, როგორც ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის დისკრიმინაციულ ხასიათზე.

ბ) გაუპატიურება როგორც დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ

არანაკლებ მნიშვნელოვანია ICTY გადაწყვეტილება საქმეზე *Prosecutor v. Dragoljub Kunarac, Radomir Kovac and Zoran Vucovic*⁶², სადაც დატყვევებული მუსლიმი ქალების სისტემატიური გაუპატიურება (და გაყიდვა) მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ჩაითვალა. პრაქტიკულად, კუნარაკის საქმეში

59 1996-1999 წლები, კოსოვოს კონფლიქტი, სადაც კოსოვოელ ალბანელებსა და სერბებს შორის დაპირისპირება მიმდინარეობდა.

60 1991-1995 წლები – იუგოსლავიიდან ხორვატიის, სლოვენიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის გამოყოფა; 1996-1999 წლები – კოსოვოს კონფლიქტი, სადაც კოსოვოელ ალბანელებსა და სერბებს შორის დაპირისპირება მიმდინარეობდა.

61 *Prosecutor v. Zejnir Delali, Zdavko Muci, Hazim Deli and Esab Lando*, International Criminal Tribunal for The Former Yugoslavia, Case No IT-96-21-T, 16/11/1998.

62 *Prosecutor v. Dragoljub Kunarac, Radomir Kovac and Zoran Vucovic*, No.: IT-96-23-T& IT-96-23/1-T, ICTY, 2001.პარა 436.

ტრიბუნალის მიერ დადგენილი იქნა, რომ გაუპატიურება და დამონება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ICTY პრაქტიკა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ტრიბუნალის მიერ განხილული საქმეები მოიცავს როგორც შეიარაღებული ძალების მიერ ტერიტორიის დაკავებისას და ადგილობრივი მოსახლეობის განდევნისას ჩადენილ, ასევე, ციხეებში ჩადენილ სქესობრივ დანაშაულებს.⁶³

გ) გაუპატიურება როგორც გენოციდი

ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობის და გაუპატიურების, როგორც გენოციდის ფორმად აღიარების პრეცედენტული გადაწყვეტილება ICTR-ის მიერ იქნა მიღებული საქმეზე *The Prosecutor v. Jean-Paul Akayesu*.⁶⁴ აკაეზუს საქმის განხილვისას, ICTR-მა გენოციდის განმარტებისას გამოიყენა გენოციდის კონვენციის დეფინიცია, რომელზე დაყრდნობითაც, მასობრივი ხასიათის გაუპატიურებები და სქესობრივი დანაშაულები, რომელსაც თან ახლდა სიცოცხლის მოსპობა ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მოშლა, ჩათვალა კონვენციის მე-2 მუხლის (ა)⁶⁵ და (ბ)⁶⁶ პარაგრაფების დარღვევად.

ფაქტობრივად, აკაეზუს საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, ტრიბუნალმა მიუთითა, რომ გაუპატიურება როგორც ზიანის მიყენების ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ფორმა, იწვევს სერიოზულ ფიზიკურ და ფსიქიკურ ზიანს და როცა გამოყენებულია იმ მიზნით, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ გაანადგუროს კონკრეტული ჯგუფი, გენოციდის ფორმად უნდა ჩაითვალოს.

2.2. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა

ICTY-სა და ICTR-ის მიერ შექმნილი სასამართლო პრაქტიკა⁶⁷ მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა გახდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის (შემდგომში – ICC), რომელსაც საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების დაცვით, რომის სტატუტის საფუძველზე⁶⁸, აქვს გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის, ომის დანაშაულების და აგრესიის დანაშაულის გამოძიების იურისდიქცია.⁶⁹

63 *Balkovic camp, Luka Camp, Omarska Camp, Keraterm Camp, Trnopolje Camp, ect*

64 *The Prosecutor v. Jean-Paul Akayesu*, Case No, ICTR-96-4-T,

65 (a) ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით მკვლელობა.

66 (b) სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენება.

67 განხილული 24 საქმიდან, 13 საქმე მოიცავს პასუხისმგებლობას სექსუალური ხასიათის დანაშაულთათვის.

68 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მიღებულია გაეროს უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე 1998 წლის 17 ივლისს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის N 2479 – რს დადგენილებით.

69 იქვე, მუხლი 5.1. (ა)(ბ)(ც)(დ) პარაგრაფები

რომის სტატუტის მიხედვით, სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების გამოძიებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას დანაშაულის ხასიათი „როდესაც იგი მოიცავს სექსუალურ ძალადობას, გენდერულ ძალადობას ან ძალადობას ბავშვების მიმართ“⁷⁰, ისევე როგორც, მოწმეთა დაცვის ღონისძიებების გამოყენებისას, აუცილებელია, გენდერული ფაქტორის გათვალისწინება.⁷¹

უფრო კონკრეტულად, რომის სტატუტის მიხედვით, აკრძალულია ქალის მიმართ ჩადენილი ისეთი დანაშაულები, როგორიცაა:

- გაუპატიურება, სექსუალური მონობა, იძულებითი პროსტიტუცია, იძულებითი ორსულობა, იძულებითი სტერილიზაცია და სექსუალური ძალადობის სხვა მსგავსი სიმძიმის ფორმები;⁷²
- იდენტიფიცირებადი ჯგუფის ან კოლექტივის დევნა გენდერული ნიშნით ან საერთაშორისო სამართლის მიერ აკრძალული სხვა საფუძვლით;⁷³
- მონობა, როგორც ნებისმიერი ისეთი უფლებამოსილების განხორციელება, რაც უკავშირდება საკუთრების უფლების წარმოშობას პირზე, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის დროს.⁷⁴

ზემოაღნიშულ ნორმებთან მიმართებით, ჩვენთვის საინტერესოა ICC პრაქტიკა გაუპატიურებისა და სექსუალური დამონების ასპექტთან დაკავშირებით, რომლებიც შეფასებული იქნა როგორც დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული და გენოციდი.

ა) გაუპატიურება როგორც დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და ომის დანაშაული

Prosecutor v. German Katanga & Chui საქმეში,⁷⁵ კატანგას მებრძოლების მიერ კონგოს რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების დროს, მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმა, ქალების გაუპატიურებისა და სექსუალური დამონების შემთხვევები, შეფასებულ იქნა მებრძოლთა პრაქტიკად. კატანგას საქმე იყო პირველი საქმე, რომელშიც სექსუალური ძალადობის, მათ შორის გაუპატიურებისთვის, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულისა და ომის დანაშაულისათვის იქნა ბრალი წარდგენილი, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოწმეთა

70 მუხლი 54(1)(ბ).

71 მუხლი 68(1).

72 მუხლი 7(1)(ზ) – დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ;

მუხლი 8(2)(b)(xxii) – ომის დანაშაულებები საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში; მუხლი 8(2)(e)(vi) – ომის დანაშაულებები არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში.

73 მუხლი 7(1)(h).

74 მუხლი 7 (II) c.

75 *Prosecutor v. Katanga & Chui*, Case No. ICC-01/04-01/07, პარა 576- 580 .

ჩვენებებმა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კატანგას საქმეში ICC-ის მიდგომამ ლუბანგას⁷⁶ მიერ ჩადენილ გენდერულ ძალადობასთან და სექსუალურ დანაშაულებთან დაკავშირებით, დიდი კრიტიკა გამოიწვია, ვინაიდან ლუბანგას წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებაში არ არის სექსუალური ძალადობის ფაქტები, მიუხედავად პოლიციის მიერ გატაცებული გოგონების არაერთგზის გაუპატიურებისა და სექსუალურ მონებად გამოყენებისა.

ასევე, *Prosecutor v. Bemba Gombo*.⁷⁷ საქმეში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების პერიოდში⁷⁸ ჩადენილი გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა, აღიარებულ იქნა როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული და ომის დანაშაული.

*Prosecutor v. Joseph Kony*⁷⁹ საქმეში, უგანდის მოვლენების⁸⁰ მიმდინარეობისას ჩადენილი მასობრივი გაუპატიურების და სექსუალური დამონების ფაქტები, შეფასდა როგორც დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და ომის დანაშაული. გარდა ამისა, *ონგუენის საქმეში*,⁸¹ ბავშვების მასობრივად გატაცებისა და დაკარგვის შემთხვევები, გაუპატიურება, იძულებით ქორწინება, როგორც გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა, აღიარებულ იქნა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.

ბ) გაუპატიურება როგორც გენოციდი

*The Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir*⁸² საქმეში, სახელმწიფოს მეთაურ ალ ბაშირს, ბრალი წაუყენეს დარღვევის კონფლიქტის⁸³ მიმდინარეობისას გამოყენებული მასობრივი გაუპატიურებისა და სექსუალური დამონების ფაქტებთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა როგორც გენოციდის ფორმა.

გ) უკრაინის გამოწვევები

2022 წლის 28 თებერვალს, ICC პროკურორმა მოითხოვა გამოძიების დაწყება უკრაინაში, ომის დანაშაულების ფაქტებთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა, მათ შორის ქალის

76 ICC-მ დაპატიმრების ორდერი გასცა ოთხი პირის, მათ შორის თომას ლუბანგა დილოს მიმართ.

77 *Prosecutor v. Bemba Gombo*, Case No. ICC-01/05-01/08, Warrant of Arrest for Jean-Pierre Bemba Gombo, 2016, პარა 21.

78 2002-2003 წლებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე სამხედრო გადატრიალება და სამოქალაქო ომი.

79 *Prosecutor v. Joseph Kony*, No. ICC-02/04-01/05, Warrant of Arrest for Joseph Kony Issued on 8 July 2005 as Amended on 27 September 2005, პარა 42.

80 უგანდის მთავრობასა და უფლის წინააღმდეგობის არმიას (Lord's Resistance Armu (LRA)) შორის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი, ე.წ. "ბიბლიური სახელმწიფოს" შექმნის მიზნით, რომელიც ცნობილია განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულების მასშტაბებით.

81 *Ongwen Judgment*, ICC-02/04-01/15.

82 *The Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir*, ICC-02/05-01/09.

83 2003-2008 წლებში დარღვევაში მიმდინარე არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტი სუდანის მთავრობასა (GoS) და ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის.

უფლებათა მასობრივი დარღვევები, მკვლევლობები და გაუპატიურების შემთხვევები, როგორც გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულები, თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება.

3. შეჯამება

ინტერესსმოკლებული არ იქნება ზემოთ აღნიშნულ თავებში განვითარებული მსჯელობის მოკლედ შეჯამება, დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების მეტი თვალსაჩინოებისათვის.

3.1. სექსუალური და გენდერული დანაშაულების რეგულაციები საერთაშორისო სამართლის მიხედვით

სექსუალურ და გენდერულ დანაშაულებთან დაკავშირებით არსებული მექანიზმები და რეგულაციები საერთაშორისო სამართალში ძირითადად ეყრდნობა შემდეგ საერთაშორისო ინსტრუმენტებს⁸⁴:

- **Lieber Codes (1863)**, რომელიც კრძალავს გაუპატიურებას, როგორც დასჯის საშუალებას და მისი გამოყენების აკრძალვას მოითხოვს;⁸⁵
- **ჰააგის კონვენცია (1907)** – ქალის უფლებათა დაცვის კონტექსტში ოჯახის პატივის მოხსენიება მიმართულია ქალთა და ბავშვთა მიმართ პატივისა და ღირსების შემლახავი მასობრივი ქმედებებისაგან დასაცავად, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ დანაშაულთა სახეები დაკონკრეტებული არ არის.⁸⁶
- **ჟენევის კონვენციები (1949) და დამატებითი ოქმები (1977)** – ქალს აღიარებს სამართლებრივი დაცვის ობიექტად, კრძალავს სქესის ნიშნით დისკრიმინაციას, აღიარებს ქალის სპეციფიკურ საჭიროებებს და ომის დროს იცავს ქალს, მის ღირსებაზე ნებისმიერი ფორმით თავდასხმისაგან, გაუპატიურების, იძულებითი პროსტიტუციის და სხვა მსგავსი ქმედებებისგან.⁸⁷

84 ამ მსჯელობაში საზგასმულია მხოლოდ ძირითადი ინსტრუმენტები. უფრო ვრცლად, ზედა თავებში.

85 იხ. ქვეთავი 1.1.

86 იხ. ქვეთავი 1.2.

87 იხ. ქვეთავი 1.3.

- **რომის სტატუტი** – კრძალავს ქალის მიმართ ჩადენილ სექსუალური დამონების, გაუპატიურების, იძულებითი ფენმძიმობის, სტერილიზაციისა და სხვა სახის სექსუალურ დანაშაულებს.⁸⁸

3.2. სექსუალური და გენდერული დანაშაულები ICC, ICTY და ICTR მიხედვით

სექსუალურ და გენდერულ დანაშაულებთან დაკავშირებული რეგულაციები საერთაშორისო სისხლის სამართალში ძირითადად ეყრდნობა შემდეგ საერთაშორისო ინსტრუმენტებს:

- **რომის სტატუტის** მიხედვით იკრძალება: ა) გაუპატიურება, რომელსაც განსაზღვრავს როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ომის დანაშაულს, ⁸⁹ ბ) სექსუალური დამონება და გ) სექსუალურ დანაშაულთა სხვა ფორმები, რომლებიც წარმოადგენს ჟენევის კონვენციების დარღვევას.⁹⁰

- **ICTY მიერ**

ა) გაუპატიურებასთან მიმართებით გამოყენებული იქნა ICTR განმარტება *ჩელებიჩის ციხის*⁹¹ საქმეზე; გაუპატიურება აღიარებულ იქნა წამებად როგორც *ჩელებიჩის ციხის*, ასევე *ფურუნზიას საქმეებში*;⁹² სექსუალური ძალადობის ქმედებები, როგორცაა საშოში, ანუსში ან პირის ღრუში პენისით და/ან საშოში ან ანუსში რაიმე სხვა საგნის იძულებითი სექსუალური შეღწევა, აღიარა როგორც არაადამიანური, დამამცირებელი და ტრავმული მსხვერპლისთვის.

ბ) სექსუალურ დამონებად ჩათვალა მუსლიმი ქალების სექსუალურ მონობაში ყოფნა თუნდაც ფიზიკური დაპატიმრების გარეშე,

გ) *ფურუნზიას საქმეში*, სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებად ჩათვალა ნებისმიერი სექსუალური ძალადობა რეალური შეღწევის გარეშე, რომელიც მიმართულია პირის ფიზიკურ და მორალურ მთლიანობაზე იძულების, ძალის ან მუქარის, დაშინების მეთოდების გამოყენებით და რომელიც დამამცირებელია მსხვერპლის ღირსებისთვის.

- **ICTR მიერ**

88 იხ. ქვეთავი 2.2.

89 მუხლი 7(1)ზ) – დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ;

მუხლი 8(2)(b)(xxii) – ომის დანაშაულებები საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში; მუხლი 8(2)(e)(vi) – ომის დანაშაულებები არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში.

90 მუხლები 7(1)(გ),
8(2)(b)(xxii),
8(2)(e)(vi) ;
7(1)(c)

91 *Baltkovic camp, Luka Camp, Omarska Camp, Keraterm Camp, Trnopolje Camp, ect.*

92 *Prosecutor v. Furundžija. Case No.: IT-95-17/1-T, 1998. პარა 165.*

ა) გაუპატიურება – აკაეზუს საქმეში⁹³ განისაზღვრა როგორც „სექსუალური ხასიათის ფიზიკური შეღწევა, რომელიც ჩადენილია ადამიანზე იძულებითი გარემოებების პირობებში“. იძულებით გარემოებებად არ განიხილება მხოლოდ ფიზიკური ძალადობის პირობები, არამედ იძულებად შეიძლება იქნას განხილული ისეთი გარემოებები, როგორცაა შეიარაღებულ კონფლიქტსა ან სამხედრო დაპირისპირების პირობებში ყოფნა. გარდა ამისა, იმავე საქმეში, გაუპატიურება ჩაითვალა წამებად.

გ) რაც შეეხება სექსუალურ დამონებას და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებს, ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ სექსუალური ძალადობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანის სხეულში ფიზიკური შეჭრით და შეიძლება მოიცავდეს ისეთ ქმედებებს, რომლებიც არ გულისხმობს შეღწევას ან თუნდაც ფიზიკურ კონტაქტს.⁹⁴

დუსკენა

საომარი და კონფლიქტური ვითარების პერიოდში, ასევე პოსტკონფლიქტურ პერიოდში ქალთა განსაკუთრებული საჭიროებების გააზრება, მნიშვნელოვანი ამოცანაა ქალთა დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერების პროცესში და ომის, როგორც ძალადობრივი მოვლენის მხოლოდ მასკულინურ ქრილში განხილვა ამ პროცესს მეტისმეტად ახანგრძლივებს.

სტატიაში განხილული ქალის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტების შესაბამისი რეგულაციები, სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებისა და სასამართლოს სამოდელო საქმეების გადაწყვეტილებების მთავარი აქცენტები მაქსიმალურად უნდა იქნას ჰარმონიზებული ეროვნულ კანონმდებლობაში, განსაკუთრებით გენდერული ძალადობის, გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის დეფინიციებთან მიმართებით. ხშირ შემთხვევაში, გაუპატიურების დეფინიცია ერთობ პრობლემურ და დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობებისათვის.

შეიარაღებული კონფლიქტებისა და საომარი ვითარების დროს დაზარალებულ ქალთა დაცვის მყარი მექანიზმების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, მსხვერპლის ტრავმული გამოცდილების გათვალისწინება როგორც გამოძიების პროცესში, ასევე რესოციალიზაციის და მსხვერპლთა დაცვის შესაბამისი პროგრამის შერჩევის დროს.

რაც შეეხება პოსტტრავმულ მდგომარეობას, აუცილებელია, გათვალისწინებული იქნას კონფლიქტურ და საომარ პირობებში დაზარალებულ ქალთა გრძელვადიანი ტრავმატიზაციის მოცემულობა, რაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მსხვერპლის ფიზიკური და ფსიქიკური

93 Akayesu, პარა. 579.

94 მაგ: ქალებს აიძულებდნენ ტანვარჯიშის გაკეთებას შიშველი ჯარისკაცების ბრბოს წინაშე (Akayesu, პარა. 688).

ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებაზე. ამ პროცესში, ასევე გასათვალისწინებელია მსხვერპლთა ინტეგრაციის პრობლემა, რომელიც გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ისეთ კომპონენტებსაც მოიცავს, როგორცაა მსხვერპლთა ფინანსური და ეკონომიკური არასტაბილურობა, საკუთრებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა ან ასეთის საერთოდ არარსებობა, რაც მსხვერპლს კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აყენებს.

შეიარაღებული კონფლიქტებისა და საომარი მდგომარეობის პერიოდში გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შედეგების ჩამონათვალი გრძელია და, აუცილებელია, ამ გამოწვევების მოგვარების მექანიზმების ხელშეწყობა სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყოს.